საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№315/2

2023 წელი, 11 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის (წამყვანი კომიტეტი) და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: პაატა კვიჟინაძის, ზაალ მიქელაძის, ირაკლი ზარქუას, გოგი მეშველიანის, ბეჟან წაქაძის, ბექა ლილუაშვილის, ირაკლი კირცხალიას, ანტონ ობოლაშვილის და ალექსანდრე რაქვიაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/400; 06.12.2023) საქართველოს კანონის პროექტები და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ვოლსკი